თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2020 წლის 24 მარტი

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
თელავის მუნიციპალიტეტის გერბი და გერბის აღწერილობა დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.
მუხლი 2
თელავის მუნიციპალიტეტის დროშა და დროშის აღწერილობა დამტკიცდეს დანართი №2-ის შესაბამისად.
მუხლი 3
დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

დანართი №1

აღწერილობა

თელავის მუნიციპალიტეტის გერბი

თელავის მუნიციპალიტეტის გერბის ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად.

I და IV ნაწილზე - მეწამულ (წითელ) ველზე გამოსახულია ვერცხლის (თეთრი) ფრთოსანი ცხენი. II ნაწილი - ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ოქროს ციხე-სიმაგრე ზემოდან ოქროს გვირგვინით.

III ნაწილი - ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ორი ოქროს მტევანი და ვაზის ორი ოქროს ფოთოლი.

გერბის ფარი გადაკვეთილია სამი, ვერცხლის, ტალღისებური შემცირებული სარტყელით.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი - სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია ჭიშკრით.

ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-მეწამული ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი "თელავი.

დანართი №2

თელავის დროშა

დროშის ველი გაყოფილია ჰორიზონტალურად ორ ნაწილად - მეწამულ (წითელ) და

ლაჟვარდოვან (ლურჯ) ველებად.

დროშის ცენტრში გამოსახულია ვერცხლის ფრთოსანი ცხენი.

დროშის პროპორციაა 2:3.